აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი

გორი 2023

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია გამოიყენება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დადგენის მიზნით.

მუხლი 2. მოქმედების სფერო

ა) ეს წესი სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში (შემდგომში-აკადემია) განსაზღვრავს აკადემიის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესსა და მეთოდოლოგიას.

ბ) წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N65/ნ, საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების და საფასურის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N99/ნ, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საქართველოში მოქმედი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

ა)აკადემიური საბჭო - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;

ბ) პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს იუნკერების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

გ) ასოცირებული პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს იუნკერების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

დ) ასისტენტ-პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში;

ე) სამეცნიერო პერსონალი - პირი, რომელიც სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ეწევა სამეცნირო-კვლევით საქმიანობას;

ვ) მოწვეული პერსონალი-აკადემიაში მოწვეული სპეციალისტი, რომელიც აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე უძღვება სალექციო კურსს.

ზ) იუნკერი - სამხედრო სასწავლებლის სტუდენტი, რომელმაც სტუდენტის სტატუსი მოიპოვა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;

თ) მსმენელი - ამ წესის ფარგლებში მოიაზრება პირი, რომელიც ჩარიცხულია სამხედრო სასწავლებელში უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების მეორე საფეხურზე.

მუხლი 4. აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის პრინციპი

აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ წინადადების ინიცირება შეუძლია:

ა) აკადემიურ საბჭოს;

ბ) პროგრამის/მიმართულების ხელმძღვანელს;

გ) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელს.

მუხლი 5. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება:

ა) იუნკერთა/მსმენელთა რაოდენობის გათვალისწინებით;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებების გათვალისწინებით;

გ) აკადემიური პერსონალისთვის დაშვებული ჩასატარებელი საათების მაქსიმალური რაოდენობის გათვალისწინებით;

ე) აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისთვის დადგენილი სამიზნე ნიშნულები;

ვ) აკადემიის ბიუჯეტის გათვალისწინებით.

2. პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის საფუძველია იუნკერებისთვის/მსმენელების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა, პროგრამის განხორციელების საჭიროება და მისი განვითარების შესაძლებლობები.

მუხლი 6. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისთვის დადგენილი სამიზნე ნიშნულები

6.1. აკადემიური პერსონალის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს:
ა) ბაკალავრიატში: 40 იუნკერზე 1 აკადემიური პერსონალი;
ბ) მაგისტრატურაში: 10 მსმენელზე 1 აკადემიური პერსონალი;

6.1.1. აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობის გადანაწილება მიმართულებებზე ხორციელდება შესაბამისი მიმართულების მიერ განხორციელებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების, იუნკერების/მსმენელების და საგანმანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით.

6.1.2. თითოეული საგანმანათლებლო მიმართულება უზრუნველყოფილი უნდა იყოს არანაკლებ 1 პროფესორით, 1 ასოცირებული პროფესორით და 1 ასისტენტ-პროფესორით. ერთი აკადემიური პერსონალი შესაძლებელია ემსახურებოდეს ერთზე მეტ საგანმანათლებლო პროგრამას.

6.2. სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას (მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით) გათვალისწინებული უნდა იყოს აკადემიის მიერ განხორციელებული სამაგისტრო (მინიმუმ) საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის სფერო.

6.3. აკადემიაში მოწვეული პერსონალი შესაძლებელია მოწვეულ იქნას აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კონკურსის წესის შესაბამისად, მხოლოდ მას შემდეგ რაც აკადემიის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური დატვირთვის წესის მე-6 მუხლით (აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური სემესტრული დატვირთვის სქემა) დადგენილი სავალდებულო აკადემიური საათები ამოწურული იქნება შესაბამისი აკადემიური პერსონალის მიერ, მათი კვალიფიკაციისა და სასწავლო პროფილის შესაბამისად.

მუხლი 7. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა აკადემიაში

დასაქმებული აკადემიური პერსონალის 100% აკადემიასთან აფილირებულია.

მუხლი 8. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისთვის დადგენილი სამიზნე ნიშნულები
1. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის ოდენობა განისაზღვრება შემდეგი პროპორციით: ნაშრომის ხელმძღვანელი 1(ერთი) პირი - ბაკალავრიატის 10 (ათი) იუნკერი;
2. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის განისაზღვრება შემდეგი პროპორციით: ნაშრომის ხელმძღვანელი 1 (ერთი) პირი - მაგისტრატურის 7 (შვიდი) იუნკერი.";

მუხლი 9. საბაკალვრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისათვის დადგენილი სხვა პირობები

განსაკუთრებულ შემთხვევებში, თემის მნიშვნელობიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ აკადემიის ხელმძღვანელობასთან წინასწარ შეთანხმებით შესაძლებელია პირმა უხელმძღვანელოს ამ წესის მე-8 მუხლით განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტი იუნკერის ნაშრომს.

მუხლი 10. გარდამავალი დებულებები

წესის მიღება, წესში ცვლილების ან/და დამატების შეტანას ახორციელებს აკადემიის აკადემიური საბჭო.